შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი 1 აპრილი 2014 წელი

ერთის მხრივ, შპს "მაგთიკომი", შემდგომში წოდებული როგორც – ***მიმწოდებელი***, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით და მეორეს მხრივ,შპს 'საოჯახო მედიცინის ცენტრი აფხაზეთის" სახით წოდებული, როგორც – ***მომხმარებელი*** წარმოდენილი მისი დირექტორის -ლამზირა ზოდელავას სახით, მეორეს მხრივ, ერთად წოდებული - "***მხარეები***" შევთანხმდით შემდეგზე:

1. მიმწოდებლის მომსახურების სტანდარტული პირობების ("სტანდარტული პირობები") საფუძველზე მიმწოდებელი მომხმარებელს გაუწევს მობილურ სატელეფონო მომსახურებას (შემდგომში "მომსახურება") მომხმარებლისათვის გამოყოფილ სააბონენტო ნომრებზე (შემდგომში "კორპორაციული ნომრები") დანართში განსაზღვრული პირობებით. (სტანდარტული პირობები იხილეთ ინტერნეტ გვერდზე **WWW.MAGTICOM.GE**)
2. კორპორატიული ნომრებიდან, რომელთათვისაც მიმწოდებლის მიერ დაწესებულია სპეციალური ტარიფი, საქართველოს ნებისმიერ საკომუნიკაციო ქსელის სატელეფონო ნომრებზე ზარის განხორციელების შემთხვევაში, ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელის ტრანზიტით, მათ შორის ადგილობრივი ზარის განხორციელებისას, არ იმოქმედებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები.
3. მომხმარებელს უფლება აქვს, მიმწოდებლისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით (ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია მომხმარებლის ოფიციალურ ბლანკზე, უფლებამოსილი პირის ხელმოწერით შეტყობინებინების მეორე მხარისათვის მიწოდება ფაქსით ან ელქტრონული ფოსტის მეშვეობით, იმ პირობით რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან შეთანხმებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით) დაამატოს კორპორატიული ნომერი ან კონკრეტულ კორპორატიულ ნომერზე შეაჩეროს, შეწყვიტოს ან შეცვალოს წინამდებარე შეთანხმების პირობების მოქმედება.
4. ანგარიშსწორება გაწეული მომსახურებისათვის იწარმოებს დანართში განსაზღვრული წესებით.
5. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიზეზით, მომსახურება შეჩერდა ან შეწყდა კორპორატიული ნომრების საერთო ოდენობის 10 ან მეტი ოდენობის პროცენტულ ნაწილზე, მიმწოდებელი იტოვებს უფლებას გააუქმოს წინამდებარე შეთანხმება შეტყობინებიდან 10 დღის შემდეგ. შეტყობინების გაკეთება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების და ასევე სატელეფონო ზარის მეშვეობით.
6. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიზეზით, მომსახურება შეჩერდა ან შეწყდა კორპორატიული ნომრების საერთო ოდენობის 50 ან მეტი ოდენობის პროცენტულ ნაწილზე, მიმწოდებელი იტოვებს უფლებას, გარდა წარმოშობილი დავალიანებისა, კომპენსაციის სახით მოსთხოვოს და მომხმარებელი ვალდებულია ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე შეთანხმების მოქმედების განმავლობაში მთლიანად მიღებული მომსახურების საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 20%.

7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მომხმარებელი, თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას ან ამის გარეშე, თავის მხრივ, მოახდენს წინამდებარე შეთანხმებით მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირებისათვის სასყიდლით (მოგების მიღების მიზნით), მიმწოდებელი იტოვებს უფლებას ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე შეათანხმება.
8. წინამდებარე შეათანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის და მხარეთა შორის კორპორატიული ნომრების სიების მიმწოდებლისათვის გადაცემიდან ერთი კვირის ვადაში და მოქმედებს 12 (თორმეტი) თვის ვადით. 12 (თორმეტი) თვის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მხარეები წინააღმდეგი არ არიან შეთანხმება ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადითა და პირობებით. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხის დარიცხვა ხორციელდება ყოველი თვის 1 რიცხვიდან. კალენდარული თვის ნებისმიერ რიცხვში წინამდებარე შეთანხმების ან მისი ნაწილის შეწყვეტის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნულ თვეში კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა სრულად.
9. კალენდარული თვის ნებისმიერ შუა რიცხვში წინამდებარე შეთანხმების ვადის გასვლის შემთხვევაში მომხმარებელი უფლებამოსილია გააგრძელოს წინამდებარე შეთანხმება საანგარიშო თვის ბოლომდე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე შეთანხმების ვადა იწურება თვის ბოლოს, მომსახურების მიწოდება შეწყდება თვის ბოლო სამუშაო დღეს.(ამ შეტანხმების მიზნებისთვის სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით).
10. მომხამარებელს უფლება აქვს 1 თვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება ვადაზე ადრე. ასეთ შემთხვევაში ამოქმედდება წინამდებარე შეთანხმების მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობა.
11. მიწოდებული მომსახურების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხევაში მიმწოდებელი იტოვებს უფლებას დავალიანების მქონე კორპორატიულ ნომერს (ნომრებს) შეუზღუდოს მომსახურების მიწოდება და 45 დღის განმავლობაში შეზღუდვის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე შეთანხმება და ამოიღოს წარმოშობილი დავალიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შეთანხმების მოშლის სხვა საფუძვლები განისაზღვრება მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით. მხარეთა მიერ შეთანხმების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა შეთანხმების მოქმედების პერიოდში რჩება ძალაში.
12. მე-7 მუხლის შესაბამისად შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს და მომხმარებელი ვალდებულია ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს, კომპენსაციის სახით, წინამდებარე შეთანხმებით და სტანდარტული პირობებით გათვალისწინებული მომსახურებების, ფასდაკლებების ასევე დამატებითი მომსახურებების მიღების (ჩართვის) გადასახდელების ფასების სხვაობის ჯამური თანხა. აღნიშნული თანხა გამოანგარიშდება წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან წინამდებარე შეთანხმების შეწყვეტის თარიღამდე.
13. მე-11 მუხლის შესაბამისად შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს და მომხმარებელი ვალდებულია ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს, კომპენსაციის სახით, გადაუხდელი თანხის 20%.
14. სტანდარტულ პირობებსა და წინამდებარე შეთანხმების პირობებს შორის სატარიფო გეგმასთან ან გადახდის პირობებთან მიმართებში წინააღმდეგობების

არსებობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება წინამდებარე შეთანხმების პირობებს.

15. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას აუნაზღაურონ ერთმანეთს ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს მეორე მხარეს, მხარის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად და რომელიც გამოწვეული იქნება მხარის დადასტურებული ბრალეულობისას, მხოლოდ განზრახი ქმედებით.
16. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში – სტანდარტული პირობების შესაბამისად;
17. წინამდებარე შეთანხმების პირობები და ასევე ერთი მხარის მიერ მეორისგან მიღებული საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება მკაცრად კონფიდენციალურად ამ შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ არ დაუშვან მესამე პირებთან შეათანხმების პირობების და მიღებული ინფორმაციის გახმაურება ამ შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში და ასევე, მოქმედების ვადის გასვლიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.
18. მიმწოდებლის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მიმწოდებელმა შეტყობინება გაგზავნა მომხმარებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მომხმარებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა მიმწოდებელს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.
19. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეები:

მიმწოდებელი	**მომხმარებელი**
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №5	ქ. თბილისი,-შპს „საოჯახო მედიცინის ცენტრი – აფხაზეთი“
ს/კ: 204876606	GE59VT660000000143408.ბანკის კოდი UGEBGE22-ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი..
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი	
ანგ. № GGE66BG0000000241607901	
კოდი: BAGAGE22	
გენერალური დირექტორის მოადგილე	დირექტორი
გია კოშორიძე	

დანართი №1

კორპორატიული ტარიფი თითოეულ სატელეფონო ნომერზე თვეში	1 ლარი დღგ-ს ჩათვლით
დამატებითი სატელეფონო ნომრის ჩართვა (დამატებითი სიმ-ბარათის გადაცემა და მისი ქსელში ჩართვა)	--
მიმართულება	1 წუთის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
ჯგუფის შიგნით შეუზღუდავი ზარი	0
მაგთიკომის ქსელი (მაგთი, ბალი, ბანი)	0 ლარი (ზარის წამოწყების ღირებულება 0.05 ლარი)
საქართველოს ნებისმიერი სხვა ქსელის მიმართულებით განხორციელებული ზარები	0.07 ლარი (ზარის წამოწყების ღირებულება 0.05 ლარი)
კორპორატიული ნომრებისათვის სასაუბრო ტარიფები Silknet S1-ის აბონენტებთან	0.148 ლარი
როუმინგის შემომავალი ზარი	50% ფასდაკლება *
საერთაშორისო მიმართულებით განხორციელებული ზარები (კოდი 00 ან +)	40% ფასდაკლება ყველა საერტაშორისო მიმარტულებაზე**

* ტარიფი შესაძლოა მცირედით აღემატებოდეს მოცემულს, იმ შემთხვევაში თუ საზღვარგარეთ მომსახურე ოპერატორს დაწესებული აქვს ან მომსახურების პერიოდში დააწესებს დამატებით ტარიფს შემავალ ზარზე.

**აღნიშნულ მიმართულებებში არ შედის სატელიტური ოპერატორების მიმართულებით განხორციელებული ზარები. ტირიფები იხილეთ მაგთიკომის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე www.magticom.ge

მომსახურებისათვის მომხმარებელი, ყოველთვიურად, თითოეულ კორპორაციულ ნომერზე მიმწოდებელს გადაუხდის კორპორატიულ ტარიფს. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხას მომხმარებელი მიმწოდებელს გადაუხდის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

დამატებითი მომსახურება

დამატებითი მომსახურების სახე	*საფასური დღგ-ს ჩათვლით*
როუმინგის ჩართვა	უდეპოზიტო
დამატებითი მომსახურებების ჩართვა	--
მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლა	--
ერთი შეტყობინების გაგზავნის ღირებულება, კორპორატიული ჯგუფის შიგნით	0 ლარი*
ერთი შეტყობინების გაგზავნის ღირებულება, საქართველო	0.01 ლარი*
ნომრის დაფარვის დღიური სააბონენტო	0.05 ლარი
სმს მდივანის დღიური სააბონენტო	0.05 ლარი
ნომრის ამოცნობის დღიური სააბონენტო	0.80 ლარი
ერთი მულტიმედიური შეტყობინების გაგზავნის ღირებულება	0.06 ლარი **
WAP-ით და ინტერნეტით სარგებლობისას 1 მეგაბაიტი ინფორმაციის მიღება/გაგზავნის ღირებულება	0.2 ლარი
SIM-ბარათის გამოცვლა	--
მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლა	--
მფლობელობის შეცვლა	--
დეტალური ანგარიში	--

*** საერთასორისო მიმართულებით გაგზავნილი 1 მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) გაგზავნის ღირებულება განისაზღვრება 0.06 ლარიდან 0.24 ლარამდე.**

**** საზღვარგარეთ გაგზავნილი მულტიმედიური შეტყობინების ტარიფი განისაზღვრება 1 ლარიდან 1.5 ლარამდე**

იმ დამატებითი მომსახურების სახეების ჩართვა, რომელიც არ არის მითითებული ზემოაღნიშნულ ცხრილში ასევე ხორციელდება კორპორატიული ტარიფის ფარგლებში დამატებითი საფასურის გარეშე.

GPRS მომსახურების ოდენობა	კორპორაციული ტარიფი (ლარი დღგ-ს ჩათვლით)*
30 მბ.	3
50 მბ.	5
500 მბ.	7.5
1 000 მბ.	10
5 000 მბ.	25
15 000 მბ.	45

მიმწოდებელი მომხმარებლის მიერ მიწოდებულ კორპორაციულ ნომრების სიების შესაბამისად კორპორაციულ ნომრებს გააერთიანებს 4 (ოთხი) აბონენტთა კორპორაციულ ნომრების ჯგუფში.

ჯგუფების სახეობები და ანგარიშსწორება ჯგუფების მიხედვით

მომსახურების სახეობა	ჯგუფი 1	ჯგუფი 2	ჯგუფი 3	ჯგუფი 4
კორპორაციული ნომრიდან განხორციელებული ზარების საფასური და დამატებითი მომსახურება	ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე და როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ზარებზე და როუმინგული მომსახურებაზე) მთლიანად, ხორციელდება მომხმარებლის მიერ შემდგომი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე და თითოეულ კორპორაციულ ნომერზე მხარეთა მიერ შეთანხმებული განსაზღვრული თანხის ფარგლებში ხორციელდება მომხმარებლის მიერ. მხარეთა მიერ შეთანხმებული თანხაზე მეტი მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე ხორციელდება მომხმარებლის მიერ. მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება კორპორატიულ ტარიფით განსაზღვრულ თანხაზე განხორციელდება კორპორაციული ნომრის მფლობელის მიერ წინასწარი გადახდის პირობით. კორპორატიული ტარიფით გათვალისწინებული თანხა ნომერს ჩამოეჭრება ეტაპობრივად, კალენდარულ თვეში არსებული დღეების პროპორციულად. მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით

მომხმარებელი ვალდებულია 1 კორპორაციულ ჯგუფში სრულად და მე-2 კორპორაციულ ჯგუფში შეთანხმებული თანხის ფარგლებში კორპორაციულ ნომრების ანგარიშზე გაწეული მომსახურების საფასურის დარიცხვის შედეგად წარმოშობილი დავალიანება დაფაროს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.